



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

2023 წლის 6 თვის შეჯამება

ენერჯეტიკა

2023 წლის 6 თვის შეჯამება
27 ივლისი 2023

2023 წლის პირველი ნახევრის ძირითადი სიახლეები

- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 10.1%-ით შემცირდა 2023 წლის პირველ ნახევარში, რაც განსხვავდება ბოლო 10 წლის ტენდენციისგან (პანდემიური წლის გამოკლებით). კლება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო აფხაზეთის რეგიონის და პირდაპირი მოხმარებლების, კერძოდ, მეტალურგიული და დატამაინინგ კომპანიების მოხმარების შემცირებით. ამასთან, მოხმარების კლება დაიწყო 2022 წლის მეორე ნახევარში და სავარაუდოდ, 2023 წლის ბოლომდე გაგრძელდება.
- ელექტროენერჯის იმპორტის მოცულობა და ფასი დაბალი იყო 2023 წლის პირველ ნახევარში. იმპორტირებული ელექტროენერჯის ერთადერთი მომხმარებელი იყო აფხაზეთის რეგიონი, რომელიც ელექტროენერჯიას რუსეთიდან სპეციალურ ფასად იღებს (კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ ცენტი). დანარჩენმა საქართველომ კომერციული იმპორტი ჩაანაცვლა შედარებით იაფი თბოგენერაციით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში თბოსადგურების ფასი გლობალურ სტანდარტებთან შედარებით დაბალია სოციალური გაზის ხელმისაწვდომობის გამო.
- საქართველო ელექტროენერჯის წმინდა ექსპორტიორი გახდა 2023 წლის პირველ ნახევარში. თურქეთის ბაზარზე გაზრდილმა ფასებმა გაზარდა მოთხოვნა ელექტროენერჯის ექსპორტზე, შესაბამისად გაიზარდა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებიც. ელექტროენერჯის მოხმარებასა და მიწოდების მიქსში არსებულმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახდა ექსპორტის მოცულობის 21.4%-იანი წლიური ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ საექსპორტო ფასი წლიურად 19.6%-ით შემცირდა, საექსპორტო შემოსავლები კვლავ მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა და 53.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (-2.4% წ/წ). შესაბამისად, ელექტროენერჯის წმინდა ექსპორტმა 2023 წლის პირველ ნახევარში 51.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2.7-ჯერ აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

სხვა სიახლეები:

- ორგანიზებული ბაზრების ამოქმედება კიდევ ერთხელ გადაიდო, ამჯერად 2024 წლის ივლისამდე
- განახლებადი ენერჯის პირველი სიმძლავრის აუქციონი წარმატებით დასრულდა, გამარჯვებულია 26 პროექტი
- გარდაბანი-3 თბოსადგურის მშენებლობისთვის მთავრობა ინვესტორს ეძებს
- 2023 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის საფასური რეგულირებული საწარმოთა ბრუნვის 0.2%-დან 0.3%-მდე.

დეტალები იხილეთ ქვემოთ.

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
evabochoreshvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897




ბაზრის სიახლეები

ორგანიზებული ბაზრების ამოქმედება კიდევ ერთხელ გადაიდო, ამჯერად 2024 წლის ივლისამდე. ეს არის დღით ადრე და საბალანსო და სისტემური სერვისების ბაზრის ამოქმედების მე-6 გადავადება. პირველად დათქმული თარიღი იყო 2021 წლის ივლისი. ოფიციალურ მიზეზად მთავრობის მხრიდან კვლავ ბაზრის გახსნის შემდეგ გლობალურად გაზრდილი ფასების საქართველოში ასახვის საშიშროება დასახელდა. ჩვენი აზრით, ამ საშიშროებასთან ერთად, სხვა მიზეზები იყო არასაკმარისი მომზადება, მათ შორის კრიტიკული იყო აღრიცხვის სისტემის გამართულობა, სისტემური სერვისებისა და საბალანსო ბაზრის მიმართ არსებული კითხვები და ბაზრის მონაწილეობის მზაობა. ბაზრის სამომავლო სტრუქტურის დეტალები ნელ-ნელა იკვეთება და რაც დრო გადის, ბევრ კითხვას გაეცა პასუხი, ბაზრის მონაწილეებიც უკეთ ეცნობიან ბაზრის პლატფორმებს. თუმცა რიგი საკითხები მაინც ღია რჩება; მაგალითად, როგორი იქნება თბოსადგურების საფასო პოლიტიკა ბაზარზე ვაჭრობისას, იქნება თუ არა უბალანსობის მიმართ საპატიო ზღვრები და ა.შ. ამასთან, ბაზრის ამოქმედების რამდენჯერმე გადადებამ არასახარბიელოდ იმოქმედა ორგანიზებული ბაზრების მიმართ დამოკიდებულებაზე და კიდევ უფრო გაზარდა ინვესტორების მხრიდან მთავრობის მხარდაჭერის მოთხოვნა.

განახლებადი ენერჯის პირველი სიმძლავრის აუქციონი წარმატებით დასრულდა. გამარჯვებულია 26 პროექტი, მათ შორის: 14 ჰიდროსადგური (149.3 მგვტ), 10 მზის სადგური (77.0 მგვტ.) და 2 ქარის სადგურის პროექტი (70.1 მგვტ.). გამარჯვებული ფასისა და სიმძლავრის შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე. გამარჯვებული 26 პროექტი გააფორმებს ფასთაშორისი სხვაობის ხელშეკრულებას (CFD) მთავრობასთან და სახელმწიფო კომპანია ესკოსთან. აღსანიშნავია, რომ CFD ფასები მერყეობდა აუქციონში გამარჯვებულებს შორის: ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირდა კვტ.სთ-ზე 5.3 აშშ ცენტი 6 მგვტ-იანი მზის ელექტროსადგურისთვის, ხოლო ყველაზე მაღალი ფასი კვტ.სთ-ზე 6.85 აშშ ცენტი მიიღო რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურმა.

გრაფიკი 1: სიმძლავრის აუქციონის გამარჯვებულები ფასის მიხედვით, მგვტ.



ცხრილი 1: სიმძლავრის აუქციონის შედეგები

პროექტის ტიპი	ჰიდრო	მზე	ქარი	ჯამი
პროექტების რაოდენობა	14.0	10.0	2.0	26
ჯამური სიმძლავრე, მგვტ	149.3	70.1	77.0	297
მაქსიმალური ტარიფი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე	6.9	5.9	6.0	6.9
მინიმალური ტარიფი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე	5.9	5.3	5.8	5.3

წყარო: ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

წყარო: ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გალტ & თაგარტი



CFD პრინციპის მიხედვით, გამარჯვებული კომპანიები ესკოსგან მიიღებენ დღით-ადრე ბაზარზე დაფიქსირებულ ფასსა და კონტრაქტით განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობას. აუქციონის პრინციპები და CFD კონტრაქტის ზოგადი პირობები შეჯამებულია ჩვენს ერთ-ერთ წინა ანგარიშში [აქ](#) აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული ბაზრის დაწყების გადადებამ გამოიწვია მცირედი გაურკვევლობები, თუ რაზე იქნება CFD-ის კომპენსაცია მიბმული. ჩვენი აზრით, ამ 26 პროექტის ექსპლუატაციაში შესვლამდე ბაზარი დაიწყებს ფუნქციონირებას და საკითხიც მოიხსნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ ესკოს გასაყიდი ფასი იქნება გამოყენებული ფასთა შორის სხვაობის დასათვლელად.

გარდაბანი-3 თბოსადგურის მშენებლობისთვის მთავრობა ინვესტორს ეძებს. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ჩაატარა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, ხოლო ამჟამად ეძებს ინვესტორს, რომელსაც გადასცემს პროექტის მიწას და არსებულ კვლევებს 2.45 მლნ აშშ დოლარად. პროექტის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 350-430 მგვტ-ია, ხოლო მინიმალური ეფექტურობის მოთხოვნა - 56%. სატენდერო დოკუმენტაციაში დაკონკრეტებულია ასევე პროექტის მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები, თუმცა ინვესტორს აქვს საკმაო მოქნილობაც. დაინტერესებულმა ინვესტორებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები 2023 წლის აგვისტოს ბოლომდე, მათ შორის ფინანსური სტაბილურობის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისი გამოცდილება, ტექნიკური და ფინანსური შეთავაზება პროექტის განხორციელებისთვის და დაფინანსების გეგმა. შერჩეული ინვესტორი მიიღებს წვდომას მიწაზე, ბუნებრივ აირზე, გაგრილების წყალზე, გადამცემ ქსელზე და გარანტირებული სიმძლავრის მიმწოდებლის სტატუსს. ეს სტატუსი ნიშნავს, რომ პროექტს დაუწესდება გარანტირებული სიმძლავრის დღიური საფასური საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიისგან (სემეკ), რაც დამატებითი შემოსავალია პროექტისთვის, გამომუშავებული ელექტროენერჯის ტარიფის ზემოდან. სემეკის სატარიფო მეთოდოლოგია ნებისმიერი საწყისი და მომავალი ინვესტიციაზე ნორმალიზებული უკუგების მიღების გარანტიას იძლევა.

2023 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის საფასური. სექტორის მონაწილე კომპანიები, ნაცვლად შემოსავლის 0.2%-ისა სემეკს უხდიან შემოსავლის 0.3%-ს. ამ საფასურს იხდის ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეთა უმეტესობა, მათ შორის ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი ლიცენზირებული კომპანიები, ასევე ელექტროენერჯის მწარმოებლები, მიმწოდებლები, იმპორტიორები და ელექტროენერჯის ექსპორტიორები. სემეკი ამ საფასურიდან შეგროვებულ თანხებს ხელფასებისა და ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად იყენებს. შემოსავლის ასეთი წყარო უზრუნველყოფს კომისიის დამოუკიდებლობას. 2022 წელს სემეკ-ის შემოსავალმა ამ საფასურიდან შეადგინა 15.6 მილიონი ლარი, რაც 18.3%-იანი ზრდაა 2021 წლის 13.3 მლნ ლართან შედარებით. 2022 წლის შემოსავლის ნახევარი ბუნებრივი აირის, 45% ელექტროენერჯის და 5% წყალმომარაგების სექტორის მონაწილეებისგან შეგროვდა.



ელექტროენერჯის მოთხოვნა, მიწოდება და ფასები


მიწოდება: 2023 წლის პირველ ნახევარში ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის საერთო მოცულობამ 7.7 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 5.3 ტვტ.სთ (ჭამურის 69.7%) ჰესების გამომუშავება იყო, 1.7 ტვტ.სთ (ჭამურის 21.9%) თბოსადგურების, 0.04 ტვტ.სთ (ჭამურის 0.6%) ქარის სადგურის, ხოლო 0.6 ტვტ.სთ (ჭამურის 7.8%) იყო ელექტროენერჯის იმპორტი.

მოთხოვნა: ქსელში მიწოდებული 7.7 ტვტ.სთ-დან, ადგილობრივმა მოხმარებამ საბითუმო დონეზე 6.6 ტვტ.სთ (ჭამურის 85.7%) შეადგინა, 0.8ტვტ.სთ (ჭამურის 9.9%) გავიდა ექსპორტზე, ხოლო 0.3 ტვტ.სთ (4.4%) დაიკარგა ქსელში ტრანსპორტირებისას.

ელექტროენერჯის მოხმარება

2023 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 10.1%-ით შემცირდა და 6.6 ტვტ.სთ შეადგინა. აღნიშნული კლება უკავშირდება ჯორჯიან მანგანეზის, მეტალურგიული და მაინინგ კომპანიების წარმოების კლებას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო მათ საბოლოო პროდუქტებზე მოთხოვნისა და ფასების ვარდნასთან. მათი მოხმარების კლება დაიწყო 2022 წლის მეორე ნახევარში და სავარაუდოდ 2023 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ჯამური მოხმარების კლებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ასევე აფხაზეთის რეგიონის მოხმარების წლიურ 14.2%-იან კლებას.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ.



წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: საცალო მოხმარებაში შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერჯის ჯამური მოხმარება.

ცხრილი 2: ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა, 2023 წლის პირველი ნახევარი

მომხმარებელი	წლიური ზრდა	წილი ჯამური მოხმარებაში
შიდა მოხმარება	-10.1%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	-14.2%	22.1%
პირდაპირი მოხმარებლები	-27.9%	22.0%
საცალო მომხმარებელი	+1.7%	55.9%
ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია	+1.7%	33.0%
თელასი და თელმიკო	+1.7%	22.9%

წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით




ელექტროენერჯის გენერაცია

2023 წლის პირველ ნახევარში ჯამური მოთხოვნის 69.7% **ჰიდროგენერაციით** დაკმაყოფილდა, მიუხედავად მთლიანი გამომუშავების 3.6%-იანი კლებისა. ჰიდროენერჯის კლება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ენგურისა და ვარდნილის კასკადის გენერაციის 14.0%-იანი წლიური შემცირებით. **ქარის** ელექტროსადგურის გამომუშავებამ ჯამური მიწოდების მხოლოდ 0.6% შეადგენდა. მოთხოვნის დანარჩენი 29.8% დაკმაყოფილდა **თბოსადგურების** გენერაციით (21.9%) და **იმპორტით** (7.8%). იმპორტის წილი მიმდინარე წელს დაბალი იყო, შედარებისთვის ელექტროენერჯის იმპორტის წილი 2019-21 წლების პირველ ნახევრებში საშუალოდ 16.7% იყო.

თბოსადგურების გამომუშავება წლიურად 12.8%-ით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერჯის იმპორტი 48.9%-ით შემცირდა. ეს გადასვლა ელექტროენერჯის იმპორტიდან თბოგენერაციაზე (რომელიც მუშაობს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე) ძირითადად ფასთაშორის არსებული სხვაობით აიხსნება. ელექტროენერჯის კომერციული იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 7.0-7.5 აშშ ცენტის ფარგლებში იყო, ხოლო თბოგენერაციის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 3.3 აშშ ცენტსა (მაგ. გარდაბანი-1) და 5.4 აშშ ცენტამდე (მაგ. თბილსრესი). საქართველომ მოახერხა თბოგენერაციაზე დაბალი ფასის შენარჩუნება ე.წ. „სოციალური გაზის“ მეშვეობით. „სოციალურ გაზს“ საქართველო იღებს ბუნებრივი აირის სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მეშვეობით აზერბაიჯანიდან თურქეთში გატარების საფასურად. თბოსადგურების გაზრდილმა მოცულობამ შესაძლებელი გახადა ელექტროენერჯის ექსპორტის აპრილიდან დაწყება. აღსანიშნავია, რომ „სოციალური გაზი“ შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება საქართველოს და გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის და თბოელექტროსადგურებისთვის.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი

ცხრილი 3: მიწოდება 2023 წლის პირველ ნახევარში

მიწოდება	წლიური ზრდა, %	წილი მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	-7.0%	100.0%
იმპორტი	-48.9%	7.8%
ადგილობრივი გენერაცია	0.0%	92.2%
თბოსადგურები	+12.8%	21.9%
ქარის სადგურები	+7.7%	0.6%
ჰესები	-3.6%	69.7%
ენგური- ვარდნილი	-14.0%	21.8%
სხვა რეგ. ჰესები	+1.1%	20.9%
დერეგულირებული ჰესები	+2.9%	27.0%


წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი




საგარეო ვაჭრობა - ექსპორტი და ტრანზიტი

ელექტროენერჯის ფასი თურქულ ბაზარზე კვლავ მაღალია, თუმცა შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. 2023 წლის ექსპორტის სეზონზე, აპრილ-ივნისში, საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 8.8 აშშ ცენტი იყო, ხოლო 2022 წლის საექსპორტო სეზონზე (აპრილ-სექტემბერი) ფასი კვტ.სთ-ზე საშუალოდ 15.1 აშშ ცენტი შეადგინა. თურქეთის ბაზარზე ელექტროენერჯის ფასის ასეთი ზრდის მიზეზი არის მიმდინარე ენერჯეტიკული კრიზისის გამო გლობალურად გაზრდილი ბუნებრივი აირის ფასები და თურქული ბაზრის დამოკიდებულება გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებზე.

გრაფიკი 4: თურქეთის ბაზარზე საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



გრაფიკი 5: თურქეთის ბაზარზე საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: EPIAS, EVDS, გალატ & თაგარტი

წყარო: EPIAS, EVDS, გალატ & თაგარტი

თურქეთის ბაზრის მაღალი ფასების გამო კვლავ გაზრდილია მოთხოვნა ელექტროენერჯის ექსპორტსა და ტრანზიტზე. 2023 წლის პირველ ნახევარში, თურქეთმა საქართველოს საზღვრიდან მიიღო 2.1 ტვტ.სთ ელექტროენერჯია, საიდანაც 0.8 ტვტ.სთ იყო ელექტროენერჯის ექსპორტი ქართული გენერაციის ობიექტებიდან (+17.3% წ/წ), ხოლო 1.5 ტვტ.სთ იყო მეზობელი ქვეყნებიდან ტრანზიტი. ტრანზიტი წინა წელთან შედარებით გაორმაგებულია და ძირითადად ხორციელდება აზერბაიჯანიდან (მთლიანის 79.5%), რუსეთიდან (10.9%) და სომხეთიდან (9.7%).

საქართველოდან ელექტროენერჯის ექსპორტი წლიურად 21.4%-ით გაიზარდა და 0.8 ტვტ.სთ შეადგინა 2023 წლის პირველ ნახევარში. ადგილობრივ ბაზარზე მოხმარების შემცირებამ და თბოსადგურების მუშაობამ შესაძლებელი გახდა ექსპორტის აპრილში დაწყება და საექსპორტო მოცულობის ზრდა. მიუხედავად რაოდენობის ასეთი მაღალი ზრდისა, ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები მცირედით შემცირდა 2.4%-ით, ექსპორტის საშუალო ფასის წლიური 19.6%-იანი შემცირების შედეგად. 2023 წლის პირველ ნახევარში ექსპორტის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 6.9 აშშ ცენტი შეადგინა.


ტოპ-3 ექსპორტიორი თურქეთში იყვნენ ბუქაბს სოლუშენი, ლუქს ენერჯი თრედიინგი და აჭარისწყალი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2023 წლის აპრილში დამტკიცებული ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო ბალანსი ვარაუდობს, რომ ელექტროენერჯის ექსპორტი ივლისის ბოლომდე გაგრძელდება. ადგილობრივი




მოთხოვნის კლების ტენდენციისა და თურქეთის ბაზარზე გაზრდილი ფასების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ექსპორტი სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება, თბოსადგურების გენერაციის მხარდაჭერით.

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის ექსპორტი, გვტ.სთ



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი


გრაფიკი 7: ექსპორტის ღირებულება და საშუალო ფასი



წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, EPIAS, გალტ & თაგარტი


2023 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტის მოცულობა და ფასი დაბალი იყო. საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტმა 0.6 ტვტ.სთ შეადგინა, რაც 48%-იანი წლიური კლებაა. იმპორტირებული ელექტროენერჯის ერთადერთი მომხმარებელი იყო აფხაზეთის რეგიონი, რომელიც ელექტროენერჯიას რუსეთიდან სპეციალურ ფასად იღებს (კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ ცენტი). ელექტროენერჯის იმპორტის კომერციული ფასი ბევრად მაღალია. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთისთვის იმპორტირებული ელექტროენერჯის 98% პირდაპირი ხელშეკრულებით გაიყიდა და არ შედიოდა ესკოს საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობაში.

გრაფიკი 8: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ და საშუალო ფასი



წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 9: ელექტროენერჯის იმპორტი ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, გალტ & თაგარტი



ელექტროენერჯის სავაჭრო ბალანსმა დადებითი 51.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წელს 6 თვეში ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 52.3 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტის ხარჯი მხოლოდ 0.8 მლნ აშშ დოლარი იყო. ელექტროენერჯის ექსპორტის ზრდა ზემოთ აღწერილ თურქეთის საბაზრო ფასის ზრდას უკავშირდება, ხოლო იმპორტის ფასი აფხაზეთის „სპეცილურ ფასს“.


2023 წლის პირველ ნახევარში საქართველო რაოდენობრივად ელექტროენერჯის წმინდა იმპორტიორი გახდა 0.2 ტვტ.სთ წმინდა ექსპორტით. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, წლის მეორე ნახევარში ელექტროენერჯის იმპორტის ზრდაა მოსალოდნელი და შედეგად, საქართველო 2023 წელს დახურავს 0.6 ტვტ.სთ წმინდა იმპორტით.

გრაფიკი 10: ელექტროენერჯის იმპორტი და ექსპორტი



წყარო: ესკო, , გალტ & თავართი

გრაფიკი 11: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ დოლარი



წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, გალტ & თავართი




ელექტროენერჯის ფასები საქართველოში

საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობამ 1.3 ტვტ.სთ შეადგინა, რაც ჯამური მიწოდების 17.2%-ია. ელექტროენერჯის დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტებით განხორციელდა.

საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 9.5%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.2 აშშ ცენტი შეადგინა. თვიურ მხრივ საბალანსო ელექტროენერჯის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 3.4-5.5 აშშ ცენტის ფარგლებში. ფასის კლების ძირითადი მიზეზი იმპორტის შემცირებული მოცულობაა.


საბალანსო ელექტროენერჯის 94.2% იყო ესკოს მიერ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) შესყიდული ენერჯია, საიდანაც 63.8 პროცენტული პუნქტი ჰიდროელექტროსადგურები, 27.2 პროცენტული პუნქტი იყო გარდაბნის N2 თბოსადგური, ხოლო დანარჩენი 3.2 პპ ქარის ელექტროსადგური. იმპორტი საბალანსო ელექტროენერჯის მხოლოდ 0.9% იყო, რაც წინა წლებისგან განსხვავებით ძალიან დაბალი მაჩვენებელია. საბალანსო ენერჯის დანარჩენი 4.9% თბოსადგურებისა და ჰიდროსადგურების უკონტრაქტო ენერჯია იყო.

გრაფიკი 12: საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა და გასაყიდი ფასები



წყარო: სემევი, საქსტატი, სები, გალტ & თავართი

გრაფიკი 13: საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა, 2023 წლის ნახევარი



წყარო: სემევი, საქსტატი, სები, გალტ & თავართი



ცხრილი 4: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	2022	იან-23	თებ-23	მარ-23	აპრ-23	მაი-23	ივნ-23	1H23
სულ შიდა მოხმარება	14,165	1,282	1,127	1,115	1,036	1,062	980	6,568
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+3.2%	-6.6%	-6.0%	-17.3%	-10.2%	-7.9%	-9.3%	-10.1%
მათ შორის:								
- აფხაზეთის რეგიონი	3,029	321	255	252	244	215	163	1,449
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+2.5%	-10.6%	-15.2%	-23.4%	-7.6%	-14.9%	-11.5%	-14.2%
- პირდაპირი მოხმარებლები	3,726	264	222	240	234	245	238	1,445
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+4.8%	-20.4%	-27.5%	-31.3%	-32.1%	-30.0%	-26.6%	-27.9%
- საცალო მოხმარება*	7,411	697	651	623	558	602	579	3,674
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+2.7%	+2.3%	+9.6%	-7.0%	+2.3%	+9.5%	+1.2%	+1.7%
მათ შორის:								
- ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მიწოდება*	4,413	430	369	365	331	464	337	2,168
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+0.3%	+7.8%	+6.5%	-6.2%	+0.7%	+39.8%	+0.3%	+1.7%
- თელასი და თელმიკო*	2,998	267	281	258	227	137	242	1,506
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+6.3%	-5.6%	+14.0%	-8.2%	+4.8%	-36.7%	+2.5%	+1.7%
სულ გენერაცია	14,244	1,111	987	1,019	1,249	1,325	1,369	7,061
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+12.6%	+8%	+11%	-5%	+11%	-9%	-8%	-0.0%
მათ შორის:								
თბოსადგურები	3,388	728	643	208	98	1	2	1,680
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+42.4%	+43%	+45%	-58%	+181%	NM	-46%	+12.8%
ქარის სადგურები	87	8	6	7	9	8	5	43
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+5.0%	+22%	+7%	-2%	+38%	-6%	-9%	+7.7%
ჰიდროსადგურები	10,769	374	339	804	1,142	1,317	1,361	5,337
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+5.8%	-27%	-23%	40.9%	5.3%	-9%	-8%	-3.6%
იმპორტი	1,533	247	207	146	0.1	-	0.02	600
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-23.6%	-39%	-42%	-55.9%	-100%	-100%	-97.3%	-48.9%
ექსპორტი	971	0	1	0	166	248	341	756
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+148.4%	N/A	N/A	N/A	N/A	-8%	-3%	+21.4%
სავაჭრო ბალანსი	(562)	(247)	(206)	(146)	166	248	341	156
ტრანზიტი	3,160	520	370	445	98	65	-	1,498
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+178.3%	+181%	+120%	+260%	-29%	N/A	N/A	+111.8%

წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

* ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. საცალო მოხმარებაში შედის როგორც თელასის და ენერგო-პრო ჯორჯიას, ასევე თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ჯამური ელექტროენერჯის მოხმარება.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გამომწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიზნებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომელიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიზნებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იტვირთენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგადად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომელიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიზნებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იტვირთენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგადად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტიციებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევბო ჩოქორიშვილი | evabochoirishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkura@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიგა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტიშვილი | g.tskitishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ზურაბ თაველიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge